ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7823502

ნომერი: AR11130011

თარიღი : 18.02.2026

გაცემის თარიღი : 02.03.2026

გაცნობის თარიღი : 02.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დადეგაშვილი პ/ნ 24001041961
- თბილისი, ვეფხისტყაოსნის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 18 თებერვალს №AR11130011 განცხადებით მომართა თორნიკე დადეგაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 23

დეკემბრის №6261181 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.035.828 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 23 დეკემბრიდან 2023 წლის 23 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 11 მაისის №6456388 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2023 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 21 აპრილის №6425446 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაემატა №AR1960526 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი „2-2“, „3-3“, „4-4“ ფასადები და ფასადის ფრაგმენტი.
სამსახურის 2025 წლის 30 დეკემბრის №7761476 ბრძანებით კვლავ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 4837.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 134.8 კვ.მ., საერთო ფართობად: 13064.5 კვ.მ.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, გამარტავს, რომ -3.20, ±0.00, +3.50, +7.00, +30.1 და +40.00 ნიშნულების გეგმებზე დაზუსტდა ფუნქციები და ფართობები. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გასწორებული გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმებზე დაზუსტებულია ფუნქციები (დამხმარე) და ფართობები (საზაფხულო). ამასთან, დგინდება, რომ გეგმებზე ფართობების და ფუნქციების დაზუსტება არ იწვევს სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური ფართობების გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -3.20, ±0.00, +3.50, +7.00, +30.1 და +40.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181, 2023 წლის 21 აპრილის №6425446 და 30 დეკემბრის №7761476 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.